ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**№92. 92240724**

თარიღი:**12/03/2024**

შპს "ლაგოდეხის რაიონის პროფილაქტიკური დერატიზაცია"-ს დაშლის (ლიკვიდაციის) პროცესის დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის, "საწარმოს დაშლის წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის #20 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 მარტის Nგ-93.9324061001 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. დაწყებული იქნას, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - „ლაგოდეხის რაიონის პროფილაქტიკური დერატიზაცია“-ს /საიდ. კოდი: 233113573/ ლიკვიდაციის პროცესი მ/წლის 12 მარტიდან.

მუხლი 2. საწარმოს ლიკვიდაციის განსახორციელებლად ლიკვიდატორად დაინიშნოს ამავე საწარმოს დირექტორი - ჟულიეტა ბარამიძე (პ/ნ 25001015374), ტელ: 599985221, იურიდიული მისამართი: ქალაქი ლაგოდეხი, ზაქათლის ქუჩა #36.

მუხლი 3. დაევალოს ლიკვიდატორებს, ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და "საწარმოს დაშლის წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის #20 დადგენილებით განსაზღვრული წესით, ყველა საჭირო ქმედების განხორციელება, ამავე კანონით/ დადგენილებით განსაზღვრული ვადებისა და პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი